

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ძირითადი საკმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2 მომზადების საფუძველი	9
3 კომპანიის საოპერაციო გარემო	9
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	15
6 ძირითადი საშუალებები	16
7 აქტივების გამოყენების უფლება	17
8 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17
9 სასაქონლო მატერიალური მარაგები	17
10 წინასწარ გადახდილი ხარჯები	17
11 ფული და ფულის ეკვივალენტები	18
12 საიჯარო ვალდებულებები	18
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
14 სხვა დარიცხული ვალდებულებები	18
15 კაპიტალი	18
16 ამონაგები	19
17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
18 მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	19
19 აქტივების ჩამოწერის ხარჯი	19
20 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები	19
21 ფინანსური რისკის მართვა	20
22 დაკავშირებული მხარეები	22
23 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	22
24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

კახა შენგელია
დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ბენეფიციარის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ზღის ამ დაშვებას;

ბენეფიციარი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

3. 
კახა შერგელია
დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მფლობელებსა და ხელმძღვანელებს****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" (შემდგომში "კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისთვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისზე 390,932 ლარის ღირებულების მქონე ინვენტარსა და აღჭურვილობაზე. მოცემული ჯგუფის ჯამური ისტორიული ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 4,031,066 ლარის ოდენობით. ასევე, ჩვენ ვერ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული დანაკლისი პერიოდიზაციაზე, ე.ი. თუ რომელ საანგარიშგებო პერიოდს ეკუთვნის ზემოთხსენებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა დამატებით რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღნიშნული ჯგუფის ღირებულებაში, ასევე, ძირითადის საშუალებების გადაფასების რეზერვში, სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასების სისწორესთან დაკავშირებით, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად ასახულია 942,619 ლარითა და 1,258,776 ლარის ისტორიული ღირებულებით, ვინაიდან კომპანიას არ ჩაუტარებია სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზი. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა დამატებით რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრითა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენით ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩნია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოეთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრობაზე და, ასევე, მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 30 სექტემბერს გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიტყვეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გაყვანას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგვემაკთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას;

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიზეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	6	21,587,838	22,263,821	22,546,840
არამატერიალური აქტივები		17,046	4,566	6,111
ბიოლოგიური აქტივები		13,374	7,643	3,343
აქტივების გამოყენების უფლება	7	-	296,850	201,574
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,618,258	22,572,880	22,757,868
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	571,380	844,341	871,676
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	75,703	134,070	81,283
წინასწარ გადახდილი ხარჯები	10	102,152	97,468	97,082
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,025,261	483,043	742,329
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,774,496	1,558,922	1,792,370
სულ აქტივები		23,392,754	24,131,802	24,550,238
ვალდებულებები				
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
საიჯარო ვალდებულებები	12	-	348,879	155,051
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	348,879	155,051
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>				
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	13	499,913	489,548	532,056
სხვა დარიცხული ვალდებულებები	14	341,276	361,437	22,091
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		841,189	850,985	554,147
სულ ვალდებულებები		841,189	1,199,864	709,198
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	736	505,736	825,736
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	15	11,508,926	11,508,926	11,508,926
აკუმულირებული მოგება		11,041,903	10,917,276	11,506,378
სულ კაპიტალი		22,551,565	22,931,938	23,841,040
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,392,754	24,131,802	24,550,238

კახა შენგელია
დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	6	21,587,838	22,263,821	22,546,840
არამატერიალური აქტივები		17,046	4,566	6,111
ბიოლოგიური აქტივები		13,374	7,643	3,343
აქტივების გამოყენების უფლება	7	-	296,850	201,574
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,618,258	22,572,880	22,757,868
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	571,380	844,341	871,676
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	75,703	134,070	81,283
წინასწარ გადახდილი ხარჯები	10	102,152	97,468	97,082
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,025,261	483,043	742,329
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,774,496	1,558,922	1,792,370
სულ აქტივები		23,392,754	24,131,802	24,550,238
ვალდებულებები				
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
საიჯარო ვალდებულებები	12	-	348,879	155,051
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	348,879	155,051
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	499,913	489,548	532,056
სხვა დარიცხული ვალდებულებები	14	341,276	361,437	22,091
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		841,189	850,985	554,147
სულ ვალდებულებები		841,189	1,199,864	709,198
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	736	505,736	825,736
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	15	11,508,926	11,508,926	11,508,926
აკუმულირებული მოგება		11,041,903	10,917,276	11,506,378
სულ კაპიტალი		22,551,565	22,931,938	23,841,040
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,392,754	24,131,802	24,550,238

კახა შენგელია
დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	9,005,548	7,144,065
საერთო მოგება		9,005,548	7,144,065
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(8,595,327)	(7,520,989)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	18	(116,240)	(132,240)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		293,981	(509,164)
არასაოპერაციო შემოსვლები		39,327	14,083
არასაოპერაციო ხარჯები		(48,363)	(13,035)
საპროცენტო ხარჯები		(29,637)	(64,867)
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობიდან		(3,075)	(19,930)
აქტივების ჩამოწერის ხარჯი	19	(124,200)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		128,033	(592,913)
მოგების გადასახადის ხარჯი		(3,406)	(2,109)
წლიური მოგება/(ზარალი)		124,627	(595,022)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)		124,627	(595,022)

კახა შენგელია
 დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	9,005,548	7,144,065
საერთო მოგება		9,005,548	7,144,065
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(8,595,327)	(7,520,989)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	18	(116,240)	(132,240)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		293,981	(509,164)
არასაოპერაციო შემოსვლები		39,327	14,083
არასაოპერაციო ხარჯები		(48,363)	(13,035)
საპროცენტო ხარჯები		(29,637)	(64,867)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან		(3,075)	(19,930)
აქტივების ჩამოწერის ხარჯი	19	(124,200)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		128,033	(592,913)
მოგების გადასახადის ხარჯი		(3,406)	(2,109)
წლიური მოგება/(ზარალი)		124,627	(595,022)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)		124,627	(595,022)



კახა შენგელია
 დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		128,033	(592,808)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		1,126,375	909,894
დებიტორული დავალიანების რეზერვი		(463,444)	-
საპროცენტო ხარჯი		29,637	-
მოგების გადასახადის ხარჯი		(3,406)	(2,109)
სხვა ცვლილებები		614	5,776
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		817,809	320,753
(ზრდა) / კლება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში		16,913	(52,787)
ზრდა / (კლება) გადახდილ ავანსებში		(4,684)	(387)
(ზრდა) / კლება საეკონომიკური დებიტორულ დავალიანებაში		272,961	27,336
ზრდა / (კლება) საეკონომიკური და სხვა ვალდებულებებში		(11,989)	155,599
ზრდა / (კლება) სხვა ვალდებულებებში		(20,161)	339,386
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,070,849	789,900
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების (შეძენა) / ჩამოწერა		(398,877)	(532,655)
არამატერიალური აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		(12,480)	-
აქტივის გამოყენების უფლების ზრდა/		296,850	(187,953)
ბიოლოგიური აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		(5,731)	(4,300)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(120,238)	(724,908)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები მიღებულ სესხებში		-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(250,800)	(4,278)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში		(506,472)	(320,000)
საიჯარო ვალდებულების შემცირება		348,879	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(408,393)	(324,278)
ფულადი სახსრების გადინება პროცენტსა და დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის გადახდა		-	-
საპროცენტო ხარჯის გადახდა		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტების ნეტო ცვლილება		542,218	(259,286)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		483,043	742,329
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		1,025,261	483,043

კახა შენგელია

დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე			
კორექტირებები:		128,033	(592,808)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი			
დებიტორული დავალიანების რეზერვი		1,126,375	909,894
საპროცენტო ხარჯი		(463,444)	-
მოგების გადასახადის ხარჯი		29,637	-
სხვა ცვლილებები		(3,406)	(2,109)
		614	5,776
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		817,809	320,753
(ზრდა) / კლება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში		16,913	(52,787)
ზრდა / (კლება) გადახდილ ავანსებში		(4,684)	(387)
(ზრდა) / კლება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		272,961	27,336
ზრდა / (კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(11,989)	155,599
ზრდა / (კლება) სხვა ვალდებულებებში		(20,161)	339,386
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,070,849	789,900
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების (შეძენა) / ჩამოწერა		(398,877)	(532,655)
არამატერიალური აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		(12,480)	-
აქტივის გამოყენების უფლების ზრდა/		296,850	(187,953)
ბიოლოგიური აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		(5,731)	(4,300)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(120,238)	(724,908)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები მიღებულ სესხებში		-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(250,800)	(4,278)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში		(506,472)	(320,000)
საიჯარო ვალდებულების შემცირება		348,879	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(408,393)	(324,278)
ფულადი სახსრების გადინება პროცენტსა და დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის გადახდა		-	-
საპროცენტო ხარჯის გადახდა		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტების ნეტო ცვლილება		542,218	(259,286)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		483,043	742,329
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		1,025,261	483,043

კახა შენგელია

დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024



შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	825,736	11,506,378	11,508,926	23,841,040
პერიოდის ზარალი	-	(594,916)	-	(594,916)
კაპიტალის შემცირება	(320,000)	-	-	(320,000)
სხვა ცვლილება	-	5,814	-	5,814
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	505,736	10,917,276	11,508,926	22,931,938
პერიოდის მოგება	-	124,627	-	124,627
კაპიტალის შემცირება	(505,000)	-	-	(505,000)
სხვა ცვლილება	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	736	11,041,903	11,508,926	22,551,565

კახა შენგელია

დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	825,736	11,506,378	11,508,926	23,841,040
პერიოდის ზარალი	-	(594,916)	-	(594,916)
კაპიტალის შემცირება	(320,000)	-	-	(320,000)
სხვა ცვლილება	-	5,814	-	5,814
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	505,736	10,917,276	11,508,926	22,931,938
პერიოდის მოგება	-	124,627	-	124,627
კაპიტალის შემცირება	(505,000)	-	-	(505,000)
სხვა ცვლილება	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	736	11,041,903	11,508,926	22,551,565

კახა შენგელია 3.

დირექტორი

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024



შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" (შემდგომში მოხსენიებული როგორც "კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას.

„მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ დაფუძნდა 1995 წლის 25 აგვისტოს, მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 229275405.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ნაკვეთი #001/133. კომპანიის მმართველობის ორგანიზება საერთო კრება და ღირეპტორი.

შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მეწილეები არიან:

მეწილე	31-დეკ-23	31-დეკ-22
გია კავთელიშვილი	51%	0%
კახა შენგელია	49%	0%
შპს კონტროლი	0%	60%
ამხანაგობა შიმშეტი, ალთაში, აქინი, გერმანია	0%	40%

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, სხვადასხვა სასწავლო კურსების მოწვობა (მათ შორის საზაფხულო), ტრენინგების და კონფერენციების მოწვობა. არაძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართების იჯარით გაცემა.

2 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და დაყოფილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

3 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე. ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან
- ბ) ბასს 12-ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძელება)

ა) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან

ეს შესწორების დოკუმენტი მოითხოვს, რომ კომპანიამ მთლიანი (ბრუტო) თანხით აღიაროს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წინათ აღიარებული იყო ნეტო საფუძველზე. ეს გავლენას არ ახდენს ბალანსში ასახულ თანხებზე, ვინაიდან ეს თანხები ისევ ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება ბასს 12-მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მე-8 შენიშვნაში ზემოაღნიშნული თანხები წარმოდგენილია ბრუტო სახით. წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემები ასევე შეიცვალა ამ შესწორებების დოკუმენტში გათვალისწინებული გარდა მავალი დებულებების შესაბამისად;

ბ) ბასს 12-ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

ზემოაღნიშნული შესწორებები კომპანიას საშუალებას აძლევს, არ აღიაროს ის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე პილარის საგადასახადო რეფორმასთან. საგადასახადო რეფორმის (მეორე პილარის) კანონმდებლობის ძალაში შესვლის) მდგომარეობის გაურკვეველი ხასიათის გამო, კომპანიამ ვერ შეძლო ამ რეფორმის მოსალოდნელი რაოდენობრივი გავლენის შეფასება იმ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული არ იყო მიმდინარე პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინა პერიოდში არანაირი თანხები არ არის აღიარებული მეორე პილარის მოდელის წესებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შესწორება.

4.2 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ა) ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და

ბ) ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

გ) ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი საგადასახადო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, თუ ვალდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ზოგიერთი ვალის კლასიფიკაციაზე და შესაძლოა სავალდებულო იყოს განმარტებით შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება არსებული კოვენანტების გავლენის შესახებ კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები - მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ეს ცვლილება ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

4.3 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჰდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ზარავებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ზარავებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხივებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანია უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამოიწვევს საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების ღმერთაჟისა და თავანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას.

შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღრიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაკებს შორის სხვაობა და შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გვემოური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
ინვენტარი და აღჭურვილობა	5-30 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
კეთილმოწყობა	5 წელი

4.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღრიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიასა და სასაქონლო ნიშანს.

კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.6 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და მათი გაზომვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალის თანხით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს საწყისი შეთანხმებული პირობების შესაბამისად მთლიანი თანხის მიღებას. ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და უიმედო ვალების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში ადმინისტრაციულ ხარჯებში. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღება შეუძლებელია, შესაბამისი მოთხოვნა ჩამოიწერება უიმედო ვალებში. უიმედოდ აღიარებული ვალის შემდგომ პერიოდში დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი თანხა კრედიტდება ადმინისტრაციული ხარჯების ანგარიშზე.

4.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარგებლობითი ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

4.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე.

4.9 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

ვალუტა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ევრო	2.9753	2.8844

4.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში საქონლისა და მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლებისადმი. კრედიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ხდება მისი გადაფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4.11 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

ლივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე ლივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ლივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დატკიცებამდე, გამჟღავნდება ბალანსის შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.12 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

4.13 შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სტუდენტებზე სასწავლო კურსების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განაწილებულია აკადემიური მონაკვეთის მიხედვით. შემოსავალი აღიარებულია ამ აკადემიური მონაკვეთების შესაბამისად. მოკლევადიანი კურსებისთვის შემოსავალი აღიარდება კურსის ხანგრძლივობის პერიოდში.

შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და საეკურო ფასდაკლებები.

4.14 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4.15 გადასახადები

მოგების გადასახადი წლიურ მოგებაზე შედგება მიმდინარე გადასახადისგან, მოგების გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან რომლებიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი რომელიც გადაიხდება დასაბეგრ შემოსავალზე წელიწადში, გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთებით რომელიც გამოიყენებოდა ბალანსი თარიღისათვის ან ამოქმედდა, და რაიმე შესწორება დაკავშირებული გადასახდელ გადასახადთან წინა წლებთან დაკავშირებით. სათანადო საგადასახადო დელკარაციის წარდგენის შემთხვევაში, დაგადასახადო მოგება ან ზარალი დაფუძნებულია შეფასებაზე. საგადასახადო ორგანოებს შეიძლება ქონდეთ უფრო მაკაცრ პოზიცია, გადასახადების ინტერპრეტირების და საგადასახადო გამოთვლების განხილვაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი გადასახადები ამ გარიგებებისთვის, რისთვისაც არ მოითხოვდნენ ადრე. შედეგად მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები და ჯარიმები შეიძლება წარმოიშვას. საგადასახადო განხილვა შეიძლება მოიცავდეს 3 კალენდარულ წელს დაუყოვნებლივ გადახედვას წლისას. მიმდინარე გარიგებაში საგადასახადო განხილვამ შეიძლება მოიცვას მეტი პერიოდი.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგრვის მომენტის გადატანა მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგრვის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგრვა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგრვა 15%-იანი მოგების გადასახადით.

შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.16 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია / შესწორებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის წინასწარ გადახდილი ხარჯების გადაანგარიშების საფუძველზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის. გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებული
წინასწარ გადახდილი ხარჯები	812,901	(715,433)	97,468
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	812,901	(715,433)	97,468
აკუმულირებული მოგება	11,632,669	(715,393)	10,917,276
საერთო გავლენა კაპიტალზე	11,632,669	(715,393)	10,917,276

2021 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებული
წინასწარ გადახდილი ხარჯები	812,515	(715,433)	97,082
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	812,515	(715,433)	97,082
აკუმულირებული მოგება	12,221,810	(715,432)	11,506,378
საერთო გავლენა კაპიტალზე	12,221,810	(715,432)	11,506,378

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წელი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებული
აქტივების ჩამოწერის ხარჯი	-	(715,433)	(715,433)
საერთო ზეგავლენა მიმდინარე წლის მოგებაზე	-	(715,433)	(715,433)

5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგო პერიოდისათვის.

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უნდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ბ) ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება ყოფნა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

გ) არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმატება, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

დ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, საგალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

ე) საკრედიტო ზარალის განსაზღვრა

კომპანია მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს, მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

ვ) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

6 ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ინვენტარი და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	21,556,803	1,289,738	3,333,643	86,954	290,665	26,557,803
შეძენა	-	-	340,070	-	202,940	543,010
გასვლა	-	-	(10,335)	-	-	(10,335)
2022 წლის 31 დეკემბერი	21,556,803	1,289,738	3,663,378	86,954	493,605	27,090,478
შეძენა	-	-	367,688	-	11,740	379,428
გასვლა	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	21,556,803	1,289,738	4,031,066	86,954	505,345	27,469,906

შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)						
აკუმულირებული ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბერი	(869,084)	-	(2,850,939)	(71,268)	(219,673)	(4,010,964)
პერიოდის ცვეთა	(434,307)	-	(342,675)	(2,550)	(40,148)	(819,680)
გასვლა	-	-	3,987	-	-	3,987
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,303,391)	-	(3,189,627)	(73,818)	(259,821)	(4,826,657)
პერიოდის ცვეთა	(421,259)	-	(437,510)	(2,550)	(60,816)	(922,135)
გასვლა	-	-	-	-	-	-
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები			(133,276)			(133,276)
2023 წლის 31 დეკემბერი	(1,724,650)	-	(3,760,413)	(76,368)	(320,637)	(5,882,068)
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	20,687,719	1,289,738	482,704	15,686	70,992	22,546,839
2022 წლის 31 დეკემბერი	20,253,412	1,289,738	473,751	13,136	233,784	22,263,821
2023 წლის 31 დეკემბერი	19,832,153	1,289,738	270,653	10,586	184,708	21,587,838
7 აქტივების გამოყენების უფლება						
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						201,574
აქტივი გამოყენების უფლებით ზრდა						187,953
აქტივი გამოყენების უფლებით შემცირება						-
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა						(92,677)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						296,850
აქტივი გამოყენების უფლებით ზრდა						-
აქტივი გამოყენების უფლებით შემცირება						(98,359)
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა						(198,491)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						(0)
8 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან						
	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	953,297	1,258,787	1,307,369			
საეკვო მოთხოვნების კორექტირება	(463,444)	(463,444)	(463,444)			
გადახდილი ავანსები	65,631	20,798	-			
სხვა მოკლევადიანი ავანსები	15,895	28,200	27,751			
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	571,380	844,341	871,676			
9 სასაქონლო მატერიალური მარაგები						
	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021			
სასაჩუქრე მასალები	23,198	10,293	6,326			
წიგნები და ჟურნალები	8,422	50,011	33,056			
წამლები და სამედიცინო ინსტრუმენტი	948	1,305	633			
სამშენებლო მასალები	-	30,298	30,298			
საწვავი	-	148	988			
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	43,135	42,016	9,982			
ჯამი	75,703	134,070	81,283			
10 წინასწარ გადახდილი ხარჯები						
	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021			
ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები	91,618	91,618	91,618			
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	9,803	5,650	5,413			
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	731	200	51			
სულ წინასწარ გადახდილი ხარჯები	102,152	97,468	97,082			

შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

11 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	876,590	404,305	648,515
აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	68,943	77,567	93,464
ევრო რეზიდენტ ბანკში	79,350	1,171	105
ნაღდი ფული რეზიდენტ ბანკში	378	-	245
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,025,261	483,043	742,329

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია როგორც "B" გრძელვადიანი და მოკლევადიანი რეიტინგი.

12 საიჯარო ვალდებულებები

2021 წლის 31 იანვრის მდგომარეობით	236,059
დამატება წლის განმავლობაში	187,953
იჯარის ხარჯი	(140,000)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	64,867
2022 წლის 31 იანვრის მდგომარეობით	348,879
დამატება წლის განმავლობაში	-
იჯარის ხარჯი	(250,800)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	29,637
საიჯარო ვალდებულების შემცირება	(127,716)
2023 წლის 31 იანვრის მდგომარეობით	(0)

იჯარის საგანს შეადგენ კომერციული ფართი რომელიც კომპანიამ მიიღო მისი მესაკუთრისგან შპს „კონტროლისგან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 9 დეკემბერს რომელშიც რამოდენიმეჯერ შევიდა ცვლილება, მიმდინარე ხელშეკრულების ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 20 000 ლარს დღე-ს ჩათვლით, ხელშეკრულება მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულმა ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება 2024 წლის 1 იანვრიდან, რაზეც ინფორმაცია გამჟღავნებულია შენიშვნა №24-ში "საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები".

კომპანიას ზემოთ აღნიშნული ქონებიდან 197,75 კვ.მ-ს ფართი ქვეიჯარით გაქირავებული აქვს კომპანიაზე შპს „კაფე იბსუ“-ზე. ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 1 ოქტომბერს. ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო 2026 წლის 31 დეკემბრამდე, საიჯარო გადასახადი 2024 წლის 31 დეკემბრამდე შეადგენდა 1,000 ლარს, ხოლო 01.01.2025 წლიდან თანხა 2,360 ლარს დღე-ს ჩათვლით. 2023 წელს კომპანიამ ქვეიჯარით გაქირავებული ფართიდან მიიღო 13,520 ლარის შემოსავალი. 2024 წელს მოცემული ფართი სარგებლობაში გადაეცა აგროკაბს, განახლებული თანამედროვე კვების ობიექტის მართვის მიზნით. შესაბამისად, შპს "კაფე იბსუსთან" არსებული ხელშეკრულება შეწყდა.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მიღებული ავანსები	406,977	444,548	403,426
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	92,936	45,000	58,286
მიმდინარე ფინანსური იჯარის პირობები	-	-	70,344
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	499,913	489,548	532,056

14 სხვა დარიცხული ვალდებულებები

კომპანიის სხვა დარიცხული ვალდებულებების 2023 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 341,276 ლარს, საიდანაც 238,073 ლარი არის საგადასახადო ვალდებულებები. (2022 წლის 31 დეკემბერი: 361,437 ლარი, 2021 წლის 31 დეკემბერი: 22,091).

15 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლების მიერ და ფორმირებულია ფულადი და ქონებრივი შენატანებით.

შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

15 კაპიტალი (გაგრძელება)

კომპანიის საწესდებო კაპიტალი და ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია 736 ლარისა და 11,508,926 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2022 წლის 31 დეკემბერი: 505,736 ლარისა და 11,508,926 ლარის ოდენობით, 2021 წლის 31 დეკემბერი: 825,736 ლარისა და 11,508,926 ლარის ოდენობით).

2023 წელს კომპანიის მფლობელების ცვლილებამდე, საანგარიშგებო წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი შემცირდა 505,000 ლარით.

16 ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,119,997	6,724,856
სახელმწიფო სასწავლო გრანტი	573,913	254,981
შემოსავალი რეალიზაციიდან (დღგ-თი დასაბეგრი)	130,075	116,282
სხვადასხვა საოპერაციო შემოსავლები	181,563	47,946
ჯამი	9,005,548	7,144,065

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	5,852,740	5,132,850
ცვეთა და ამორტიზაცია	1,126,375	817,926
ფიზიკური პირის მომსახურების ანაზღაურება	307,988	435,814
მომსახურების ხარჯები	212,210	200,110
კომუნალური ხარჯი	203,617	189,109
ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯი	192,957	60,352
სხვა საგადასახადო ხარჯი	129,592	133,410
წარმომადგენლობითი ხარჯი	95,471	50,420
დაცვის მომსახურების ხარჯი	84,932	97,935
მივლინების ხარჯი	37,930	16,428
კომპიუტერის ხარჯები	30,969	22,557
კომუნიკაციის ხარჯი	30,563	54,299
საკონსულტაციო ხარჯები	26,292	39,138
სხვა საერთო ხარჯი	263,690	270,641
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8,595,327	7,520,989

18 მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

კომპანიის მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები შედგება რეკლამის ხარჯებისგან, რაც 2023 წლისთვის შეადგენს 116,240 ლარს (2022: 132,240 ლარი).

19 აქტივების ჩამოწერის ხარჯი

აქტივების ჩამოწერის ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალებებისა და მარაგების ჩამოწერის ღირებულებას, რაც 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგენს 124,200 ლარს (2022 წელი: 0 ლარი).

20 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები

20.1 სასამართლო დავები

პერიოდულად, საქმის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელი. მიმდინარე ეტაპზე კომპანია არ არის ჩართული რაიმე სასამართლო დავაში, რომელშიც შეიძლება წარმოადგენდეს მოსარჩელეს ან მოპასუხეს. ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

20.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისმა საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საქმიანობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და პროცენტების დაწესება.

21 ფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

21.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ფული და ფულადი ეკვივალენტები	1,025,261	483,043
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	571,380	844,341
სულ ფინანსური აქტივები	1,596,641	1,327,384

21.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, რომელთა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის.

21.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონიერული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

შპს "მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

21.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,025,261	-	-	1,025,261
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	571,380	-	-	571,380
სულ ფინანსური აქტივები	1,596,641	-	-	1,596,641
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	499,913	-	-	499,913
სხვა დარიცხული ვალდებულებები	341,276	-	-	341,276
სულ ფინანსური ვალდებულებები	841,189	-	-	841,189
ლიკვიდურობის პოზიცია	755,452	-	-	755,452

ლიკვიდურობის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	483,043	-	-	483,043
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	844,341	-	-	844,341
სულ ფინანსური აქტივები	1,327,384	-	-	1,327,384
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	489,548	-	-	489,548
საიჯარო ვალდებულებები	348,879	-	-	348,879
სხვა დარიცხული ვალდებულებები	361,437	-	-	361,437
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,199,864	-	-	850,985
ლიკვიდურობის პოზიცია	127,520	-	-	476,399

21.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას არ აქვს საპროცენტო რისკის მატარებელი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

21.4 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკი კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან კომპანიის ოპერაციები სრულად ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

22 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშგებულ საწარმო").

- ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშგებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:
- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგებულ საწარმოს;
 - (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგებულ საწარმოზე; ან
 - (iii) არის ანგარიშგებულ საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
- ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშგებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ
- (i) ეს საწარმო და ანგარიშგებულ საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
 - (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშგებულ საწარმოს, ან ანგარიშგებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშგებულ საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშგებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
 - (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშგებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშგებულ საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2023	2022
ხელფასი და პრემია	366,283	177,438
მივლინების ხარჯი	3,329	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	2023	2022
სხვა მოთხოვნები	7,135	-

23 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეს, შპს კავკასიის უნივერსიტეტს შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა აიღო სასესხო ვალდებულება 150,000 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებით განსაზღვრული წლიური საპროცენტო სასესხო განაკვეთი შეადგენს 12.6%-ს. კომპანიამ ბალანსის შემდგომ პერიოდში სრულად დაფარა მიღებული სესხის ძირი 150,000 ლარის ოდენობით და დარიცხული საპროცენტო ვალდებულება 2,882 ლარის ოდენობით.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ბალანსის თარიღის შემდგომ პერიოდში კომპანიის 49%-იანი წილის მფლობელმა კახა შენგელიამ გამოისყიდა აქციების 51% გია კაველიშვილისაგან და, შესაბამისად, კახა შენგელია წარმოადგენს კომპანიის ერთპიროვნულ მფლობელს.

შპს "კონტროლთან" გაფორმებულმა საიჯარო ხელშეკრულებამ განიცადა ცვლილება. კერძოდ, 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 40,000 ლარს დღე-ს გარეშე, ხოლო 2027 წლის 1 იანვრიდან 2031 წლის 31 დეკემბრამდე საიჯარო ქირის ყოველთვიური საიჯარო გადასახადი განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს

მმართველობის ანგარიშგება

(2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა)

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ.....	3
ორგანიზაციის სტრუქტურა	3
უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები	4
უნივერსიტეტის სტრატეგია.....	5
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	6
რისკები და გაურკვევლობების დაზღვევის მექანიზმი	8
ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ	9
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	9
ბალანსის შემდგომი მოვლენები:	10

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელმაც სტუდენტებს შესთავაზა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, და ამჟამად სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 5 სკოლა:

- განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა;
- სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა;
- ბიზნესის სკოლა;
- კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა;
- მედიცინის სკოლა.

სწავლების ყველა საფეხურზე შეთავაზებულია 41 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნულ პროგრამებს შორისაა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (გერმანია) და კონსორციუმის ფარგლებში შემავალ სხვა 3 ქვეყნის უნივერსიტეტთან ერთად შემუშავებული საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომელმაც 2023 წლის 24 მარტს მიიღო გერმანული სააკრედიტაციო სააგენტო ASIIN-ის საერთაშორისო აკრედიტაცია. აკრედიტაციის ვადით 30.09.2028. პროგრამის აკრედიტაცია ასევე აღიარებულ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

ორგანიზაციის სტრუქტურა

1995 წლის 25 აგვისტოს კომპანია დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში, საიდენტიფიკაციო კოდით - 229275405.

უნივერსიტეტის დირექტორი - კახა შენგელია.

უნივერსიტეტის სლოგანია **ადგილი, სადაც განათლება იმარჯვებს / A Place Where Education Wins.**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები, სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:

- **დამფუძნებელთა კრება** - უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო;
- **მმართველი საბჭო** - საბჭოს შემადგენლობაში შედიან: რექტორი, პრორექტორები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, სამსახურის უფროსები და სკოლების დეკანები.

- **რექტორი** - უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს უნივერსიტეტში.

შიდა ნორმატიული დოკუმენტებით განისაზღვრება მართვის ორგანოთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი. საუნივერსიტეტო საკითხებზე გადაწყვეტილება აისახება მმართველი საბჭოს დადგენილებაში ან უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში - ბრძანებაში.

უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვაა, შექმნას მრავალფეროვნებასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ხარისხიანი, ინოვაციური, საერთაშორისო, თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო გარემო, რომელიც უნივერსიტეტს მოუტანს ადგილობრივ და საერთაშორისო აღიარებას.

მისია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა სწავლა-სწავლების და კვლევის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეთავაზება, რომლის შედეგადაც ამზადებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, დემოკრატიული ფასეულობების მქონე თაობას.

უნივერსიტეტის ღირებულებებია:

1. **აკადემიური თავისუფლება** - ქმნის თავისუფალ აკადემიურ გარემოს, ხელს უწყობს კვლევას, აკადემიური გამოცდილების გაზიარებასა და სწავლებაში გამოყენებას.
2. **ინკლუზიურობა** - პატივს სცემს თითოეული ადამიანის, როგორც ინდივიდის, უნიკალურ შესაძლებლობებსა და ფასეულობებს, ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის, სადაც განათლება ყველასათვის განურჩევლად და თანაბრად ხელმისაწვდომია.
3. **თანასწორუფლებიანობა და მრავალფეროვნება** - პატივს სცემს ადამიანთა უფლებებს, ღირებულებებს, მათ შორის აფასებს ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ, საერთაშორისო ცნობიერების სხვადასხვაობას, ქმნის თანასწორუფლებიან გარემოს; სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს, ქართულ და ინგლისურ ენებზე, უცხო ენების სწავლების შესაძლებლობით.
4. **გამჭვირვალობა** - ორიენტირებულია შექმნას ეფექტური მმართველობა, გუნდური, სამართლიანი და გამჭვირვალე გარემო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის, ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, მათ ინფორმირებულობასა და ურთიერთპატივისცემას, იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმებს.

5. **ინოვაცია** - ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ორიენტირებულია სასწავლო, სამეცნიერო სიახლეების, თანამედროვე მეთოდების, ახალი მიდგომების დანერგვასა და ინტერნაციონალიზაციაზე.

6. **მდგრადი განვითარება** - უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნებს.

7. **სოციალური პასუხისმგებლობა** - პატივს სცემს დემოკრატიულ და ეთიკურ პრინციპებს, წვლილი შეაქვს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში, სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოების საჭიროებებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის სტრატეგია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ახალი 7-წლიანი სტრატეგიული და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა. 2023 წლის ოქტომბერში შეიცვალა უნივერსიტეტის მფლობელები და მმართველი გუნდი. აღნიშნული ცვლილების შემდეგ შემუშავდა ახალი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებას წინ უძღოდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის განახლება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები და მისი საქმიანობა ეფუძნება მისიას, სტრატეგიულ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. უნივერსიტეტის მიზნები და მისი საქმიანობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების და სამწლიან სამოქმედო გეგმებში, არის მიღწევადი, დროში გაწერილი და მათი განხორციელების შედეგები გაზომვადია.

უნივერსიტეტის სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებაა:

1. განათლების ხარისხის მუდმივი განვითარება;
2. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების გაძლიერება;
3. ინტერნაციონალიზაცია.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	31-დეკ-23	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	21,587,838	22,263,821	22,546,840
არამატერიალური აქტივები	17,046	4,566	6,111
ბიოლოგიური აქტივები	13,374	7,643	3,343
აქტივების გამოყენების უფლება	-	296,850	201,574
სულ გრძელვადიანი აქტივები	21,618,258	22,572,880	22,757,868
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	571,380	844,341	871,676
სასაქონლო მატერიალური მარაგები	69,045	134,070	81,283
წინასწარ გადახდილი ხარჯები	102,152	97,468	97,082
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,025,261	483,043	742,329
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,767,838	1,558,922	1,792,370
სულ აქტივები	23,392,754	24,131,802	24,550,238
ვალდებულებები			
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
საიჯარო ვალდებულებები	-	348,879	155,051
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	348,879	155,051
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	499,913	489,548	532,056
სხვა დარიცხული ვალდებულებები	341,276	361,437	22,091
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	841,189	850,985	554,147
სულ ვალდებულებები	841,189	1,199,864	709,198
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	736	505,736	825,736
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	11,508,926	11,508,926	11,508,926
აკუმულირებული მოგება	11,041,903	10,917,276	11,506,378
სულ კაპიტალი	22,551,565	22,931,938	23,841,040
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	23,392,754	24,131,802	24,550,238

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	2023	2022
ამონაგები	9,005,548	7,144,065
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	(92,677)
საერთო მოგება	9,005,548	7,051,388
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(8,595,327)	(7,428,312)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	(116,240)	(132,240)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	293,981	(509,164)
არასაოპერაციო შემოსავლები	39,327	14,083
არასაოპერაციო ხარჯები	(48,363)	(13,035)
საპროცენტო ხარჯები	(29,637)	(64,867)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	(3,075)	(19,930)
აქტივების ჩამოწერის ხარჯი	(124,200)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	128,033	(592,913)
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,406)	(2,109)
წლიური მოგება/(ზარალი)	124,627	(595,022)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)	124,627	(595,022)

უნივერსიტეტი წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ, მდგრად და მზარდ კომპანიას, რასაც ადასტურებს კომპანიის ბოლო 5 კალენდარული წლის შემოსავლების მზარდი დინამიკა. უნივერსიტეტის შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 15%-ით.

უნივერსიტეტის ფინანსურ დეპარტამენტს, ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად შემუშავებული აქვს შემდეგი 2 ძირითადი ფინანსური ინდიკატორი:

- საოპერაციო მოგების მარჟა (EBITDA Margin);
- წმინდა მოგების მარჟა (Net Prof. Margin).

უსდ-ში ბიუჯეტის (მიმდინარე /საპროგნოზო) შედგენა/შემუშავების პროცესი აღწერილია ფინანსური მართვისა და კონტროლის წესში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფინანსური რისკები იდენტიფიცირებულია და გაწერილია ბიზნესუწყვეტობის გეგმაში, ხოლო პრევენციის და მართვის მექანიზმები

აღწერილია როგორც უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის გეგმაში, ასევე ფინანსური მართვისა და კონტროლის წესში.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად უზრუნველყოფს ფინანსური აუდიტის შესრულებას უფლებამოსილი აუდიტორული ფირმის მიერ. საანგარიშო პერიოდის ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები საჯაროდ ხელმისაწვდომია ანგარიშგების პორტალზე.

რისკები და გაურკვევლობების დაზღვევის მექანიზმი

ფინანსური რისკების შემცირების მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ერთიანი დებულება .

ერთიანი დებულებით გაწერილია მიმართულებების მიხედვით ანგარიშვალდებული პირების პასუხისმგებლობის საკითხები, ასევე, ფინანსური დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია დამატებით 2 ნორმატიული დოკუმენტი:

- ფინანსური დეპარტამენტის დებულება, რომელიც კონკრეტულად აღწერს იმ ფუნქცია-მოვალეობებს, რისი შესრულებაც არის დეპარტამენტის პირდაპირი მოვალეობა;
- ფინანსური კონტროლის და მართვის წესი, რომელიც აღწერს უსდ-ში ბიუჯეტის (მიმდინარე /საპროგნოზო) შედგენა/შემუშავების პროცესს, ასევე უნივერსიტეტში ფინანსური კონტროლის და მართვის მიზნით უკვე შემუშავებულ კონკრეტულ ქმედებებს, რაც აქტიურად გამოიყენება მიმდინარე სამუშაო პროცესში. დოკუმენტი ემსახურება უნივერსიტეტის შიდა ბიზნეს პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფას და ფინანსური მართვისა და კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად ფინანსური სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.

რისკების და გაურკვევლობების დაზღვევის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რაც უზრუნველყოფს ძირითადი ბიზნეს პროცესების/რისკ ფაქტორების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს იმ პროცესების/პრევენციების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფენ მოულოდნელი გარემოებების შეძლებისდაგვარად არიდებას და ასევე მათი დადგომის შემთხვევაში მინიმალურ უარყოფით ზეგავლენას უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

რისკები დაყოფილია გარე და შიდა ტიპებად: გარე ტიპს განეკუთვნება რისკების ის ჯგუფები, რომელთა გამოვლინებაზე კომპანიას პირდაპირი ზეგავლენა არ აქვს (მაგ. პოლიტიკური, ეკონომიკური, ბუნებრივი, საკანონმდებლო და ტექნოლოგიური), ხოლო შიდა ტიპს განეკუთვნება რისკების ის ჯგუფები, რომელთა გამოვლინებაზე კომპანიას პირდაპირი ზეგავლენა აქვს (მაგ. სტრატეგიული, რეპუტაციის, აკადემიური, უსაფრთხოების, ფინანსური, მატერიალური რესურსი და სამართლებრივი რისკი).

ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" წლის განმავლობაში არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოშვება ან/და შეძენა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების გაძლიერება. შესაბამისად, უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, აწარმოონ მაღალი ხარისხის კვლევითი საქმიანობა. კვლევითი საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული ხედვა, პრინციპები, სტრატეგიული ამოცანები და აქტივობები აღწერილია უნივერსიტეტის ყველა ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტში, მათ შორის უნივერსიტეტის დებულებაში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, უნივერსიტეტის ბიუჯეტში. თავად კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობასა და პროცედურებზე დეტალური ჩანაწერები მოცემულია კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტსა და კვლევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წესში.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი საერთაშორისო/სამეცნიერო კონფერენცია, მულტიდისციპლინური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ბაზაზე განხორციელდა კვლევები, უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა მოიპოვა ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ვორქშოპები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის კვლევითი უნარების განსავითარებლად და ელექტრონული ბაზების გამოყენების თვალსაზრისით; უნივერსიტეტის პროფესორების კვლევითი ნაშრომები დაიბეჭდა საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება შიდა სასკოლო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციები, საჯარო ლექციები, ვორკშოპები, ტრენინგები, კონკურსები, დებატები, ინტელექტუალური თამაშები, სოციალური პროექტები და სხვადასხვა აქტივობები, რაც ემსახურება აბიტურიენტების, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებას.

უნივერსიტეტის მიზნების მიღწევის ხელშეწყობის, ცნობადობისა და ავტორიტეტის ამაღლების ხელშეწყობის, ფიზიკური პირებისა და კორპორატიული კლიენტებისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგებისა და სასერტიფიკაციო კურსების დაგეგმვა/ორგანიზების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს IBSU აკადემია; IBSU აკადემია გარდა გარე მსენელებისა ახდენს ასევე ადმინისტრაციული თანამშრომლების საჭიროების მიხედვით გადამზადებას. მისი მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა მიმართულების საცალო/კორპორატიული ტრენინგები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები:

- დამფუძნებლის ცვლილება

2024 წლის 13 სექტემბერს უნივერსიტეტის 100%-ის წილის მფლობელი გახდა კახა შენგელია, მან 51% წილი შეისყიდა გია კავთელიშვილისგან.

- ავტორიზაცია

2018 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაციის პროცესი და 6 წლის ვადით მიეცა ავტორიზაცია.

2024 წლის 2-5 სექტემბერს უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ხელახალი ავტორიზაციისა და კვოტის მატების მიზნობრივობით. აღნიშნულ ვიზიტს წინ უძღვოდა რამდენიმე თვიანი მოსამზადებელი პროცესი, რაშიც სრულად იყო ჩართული უნივერსიტეტის გუნდი. შედეგად ავტორიზაციის ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა. ამ ეტაპზე ექსპერტთა დასკვნა წერილობით სახით ჯერ არ არის მზად, თუმცა შემაჯამებელი შეხვედრის შედეგი დადებითია.

- ახალი პროგრამების დამატება

2023-2024 წელს განხორციელდა ახალი პროგრამების აკრედიტაცია:

1. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - აკრედიტაციის პროცესში;
5. არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - აკრედიტაციის პროცესში;

გრაფიკული დიზაინის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - აკრედიტაციის პროცესში.

- ახალი კაფეტერია

ახალი 2024-2025 სასწავლო წლიდან აგროჰაბთან პარტნიორობით გაიხსნა განახლებული თანამედროვე კვების ობიექტი, რომელიც უნივერსიტეტის დაფინანსებით სრულად აღჭურვილია ახალი ტექნიკითა და ინვენტარით. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჰქონდეთ შესაძლებლობა იკვებონ ჯანსაღად, ჰქონდეთ მრავალფეროვანი არჩევანი და სივრცე იყოს მათ ინტერესებზე მორგებული, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სრულად უზრუნველყო.

წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

პრორექტორი ფინანსურ დარგში - მარიკა ნიკოლაიშვილი

დამოწმებულია რექტორის მიერ:

რექტორი - კახა შენგელია

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024წ.

- ახალი კაფეტერია

ახალი 2024-2025 სასწავლო წლიდან აგროკაბთან პარტნიორობით გაიხსნა განახლებული თანამედროვე კვების ობიექტი, რომელიც უნივერსიტეტის დაფინანსებით სრულად აღჭურვილია ახალი ტექნიკითა და ინვენტარით. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჰქონდეთ შესაძლებლობა იკვებონ ჯანსაღად, ჰქონდეთ მრავალფეროვანი არჩევანი და სივრცე იყოს მათ ინტერესებზე მორგებული, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სრულად უზრუნველყო.

წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

პრორექტორი ფინანსურ დარგში - მარიკა ნიკოლაიშვილი

დამოწმებულია რექტორის მიერ:

რექტორი - კახა შენგელია

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2024წ.

